

ბოტანიკურ ბაღში პირველად მწვანე გამოფენა გაიხსნა

✘ ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში ღონისძიებებისთვის დამატებითი სივრცე მოეწყო, რომელიც დღეს ოფიციალურად გაიხსნა.

„ივენთ სქეჯერმა“ დღეს საქართველოში პირველად მწვანე გამოფენას უმასპინძდა.

პროექტის ფარგლებში, წარმოდგენილი იყო სანერგე მეურნეობების, ყვავილების საღონების, საბაღე ხელოვნების, დანდშაფტის დიზაინის, გამწვანებისა და ფიტოდიზაინის ექსპოზიციები.

გამოფენის მიზანია საქართველოში არსებული ბოტანიკური ბაღების, პარკებისა და საბაღე ხელოვნების სფეროში მოღვაწე ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება, მათი საქმიანობის წარმოჩენა და მებაღეობის დარგების პოპულარიზაცია. გამოფენას ეროვნული ბოტანიკური ბაღი ორი დღის განმავლობაში უმასპინძლებს.

✘

✘

✘